

დევი ტაბიძე¹, მარიამ შველიძე¹, დეა ინორიძე²
არასასურველი ორსულობის ზეგავლენა ჩვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარებაზე

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის დეპარტამენტი; ²თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი
 Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.06.12>

DEVI TABIDZE¹, MARIAM SHVELIDZE¹, DEA INORIDZE²
**THE IMPACT OF UNWANTED PREGNANCY ON THE DEVELOPMENT OF
 CHILDS MENTAL HEALTH**

¹Tbilisi State Medical University, Department of Public Health, Management, Politics and Economics;
²Tamar Gagoshidze Neuropsychological Center

SUMMARY

In the case of unwanted or unplanned pregnancy, the majority of women (18-40 years old) develop mental problems. Which in most cases leads to the development of certain types of mental, behavioral and cognitive problems in children aged 0-3 years. Studies confirm that the issue is quite relevant in Georgia and requires professional attention. Through the implementation of certain targeted health or social measures, it is possible to delay negative processes and take care of their improvement. In the direction of public health and the formation of a healthy population, unwanted pregnancy is one of the important psycho-social determinants. It also represents a severe stressor that negatively affects both the mental health of the mother and the mental development of the infant. The aim of the study is to determine how important a role the mother's predisposition to pregnancy and her subsequent well-being plays. In addition, the impact of the material situation on the mother's psyche in the case of a family income below the average, while it is necessary to mobilize quite large finances. The problem is discussed from a public health perspective and aims to raise awareness regarding these issues.

Keywords: unwanted pregnancy, child, mental health, impact

შესავალი. არასასურველი ან დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევაში ქალების (18-40წწ) უმრავლესობას უყალიბდება მენტალური პრობლემები. რაც უმრავლეს შემთხვევებში იწვევს 0-3 წლამდე ბავშვებში გარკვეული სახის მენტალურ, ქცევით და კოგნიტური პრობლემების ჩამოყალიბებას. კვლევებით დასტურდება, რომ საკითხი საკმარისად აქტუალურია საქართველოში და საჭიროებს პროფესიონალურ ყურადღებას. გარკვეული ჯანდაცვითი თუ სოციალური მიზანმიმართული ღონისძიებების გატარების მეშვეობით შესაძლებელია უარყოფითი პროცესების შეფერხება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანსაღი პოპულაციის ჩამოყალიბების მიმართულებით, არასასურველი ორსულობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქო-სოციალური დეტერმინანტი, აგრეთვე წარმოადგენს მძიმე სტრესორს, რომელიც უარყოფითად აისახება როგორც დედის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე ჩვილის ფსიქიკური განვითარების პროცესზე. კვლევის მიზანია დაადგინოს თუ რამდენად დიდი როლი აქვს დედის წინასწარგანწყობას ორსულობაზე და შემდგომ მის კეთილდღეობაზე. აგრეთვე, დედის ფსიქიკაზე მატერიალური მდგომარეობის ზეგავლენა ოჯახის საშუალოზე დაბალი შემოსავალის შემთხვევაში, მაშინ როდესაც საჭიროა საკმაოდ დიდი ფინანსების მობილიზება. პრობლემა განხილვება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჭრილში და მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანი:

- რამდენად ხშირია საქართველოში არასასურველი ან დაუგეგმავი ორსულობა.
- რამდენად ხშირად არიან დედები იძულებულნი, რომ შეინარჩუნონ ნაყოფი, რომელიც მათ არ უნდათ.

- რამდენად დიდ გავლენას ახდენს სტერეოტიპები და დოგმები ქართველ დედებზე
- დაადგინოს დაკავშირებულია თუ არა დაუგეგმავი ორსულობა მშობიარობის შემდგომი დედის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მაღალ მაჩვენებელთან.
- რა გავლენას ახდენს არასასურველი ან დაუგეგმავი ორსულობის შედეგად გამოწვეული დედის მენტალური პრობლემები ბავშვის მომავალ განვითარებაზე საქართველოს რეგიონებში.
- აქვთ თუ არა დაუგეგმავი ორსულობის მქონე დედების ჩვილებს ემოციური ან განვითარების დარღვევების მაღალი რისკი.
- რამდენად სახიფათოა და რეალური ფსიქიკური ჯანმრთელობის გართულებები ბავშვთა ასაკში.
- როგორია მამების ჩართულობა და ინიციატივა, რომ ჩაერთონ ორსული პარტნიორის ჯანმრთელობის საკითხებში და ასევე ჩვილის აღზრდაშიც.
- დედის ფსიქიკაზე მატერიალური მდგომარეობის ზეგავლენა - ოჯახის საშუალოზე დაბალი შემოსავლები.

კვლევის მეთოდი. ჩატარდა ჯვარედინი დაკვირვებითი კვლევა, რომელიც მოიცავდა დედას საქართველოს მასშტაბით, მათი იდენტობა სრულიად დაცულია და ანკეტირება მოხდა დისტანციური მეთოდით. კითხვარი მოიცავდა დედისა და ჩვილის ფსიქოლოგიური მდგომარეობის განმსაზღვრელ კითხვებს. მათ შორის ედინბურგის პოსტნატალური დეპრესიის შკალას. ორსულობის განზრახვა იყო თვითმეფასებული და კლასიფიცირებული როგორც დაგეგმილი, დაუგეგმავი ან სასურველი ან არასასურველი ორსულობა დაკავშირებული პრენატალური და მშობიარობის შემდგომი დეპრესიის გავითარების მაღალ რისკებთან. შფოთვით აშლილობებთან, დედასა და ბავშვს შორის სუსტ კავშირთან, დედის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ჩვილის მიჯაჭვულობის ხარისხზე, ემოციების რეგულირებასა და განვითარებაზე. კვლევის მეთოდების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს - ლიტერატურული ძიება, რათა გამოვლენილიყო რეცენზირებული კვლევები, რომლებიც იკვლევდნენ დაუგეგმავ ან არასასურველ ორსულობასა და ჩვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის შედეგებს შორის კავშირს, ასევე დედის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შუამავლობით როლს. ძიებაში შედიოდა 2000 წლის იანვრიდან 2025 წლის აპრილამდე პერიოდის პუბლიკაციები, რათა შეგვეგროვებინა დედისა და ჩვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ყველაზე აქტუალური და უახლესი დასკვნები. კვლევის პროცესში გამოყენებულია: 2000-დან 2025 წლამდე გამოქვეყნებული რეცენზირებული სტატიები, კვლევები, რომლებიც იკვლევდნენ დაუგეგმავი ორსულობის ფსიქოლოგიურ გავლენას დედებსა და/ან ბავშვებზე, კვლევა, რომელიც ფოკუსირებულია ჩვილის ან ადრეული ბავშვობის ფსიქიკური ჯანმრთელობის შედეგებზე, ჯანმო-ს, იუნისეფის და საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული ორგანოების შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები ან ანგარიშები.

კვლევა. მონაცემების, ორსულობის განზრახვის სტატუსისა და ჩვილის ჯანმრთელობის ძირითადი ინდიკატორების აღსაწერად გამოყენებული იქნა აღწერითი სტატისტიკა (საშუალო მნიშვნელობები, მედიანები, სტანდარტული გადახრები, სიხშირეები და პროცენტული მაჩვენებლები). ორსულობის განზრახვის ჩვილების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების განვითარების ალბათობაზე გავლენის შესაფასებლად ჩატარდა ბინარული ლოგისტიკური რეგრესია, დედის ასაკის, განათლების დონისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გათვალისწინებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 155 დედამ, შერჩევა მოხდა რანდომულად და მათ უმეტესობას ჰქონდა არასასურველი ან დაუგეგმავი ორსულობა.

გამოკითხულთა უმეტესობა იყო 18-40 წლის ქალბატონები, 62%-ს ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, 22% იყო სტუდენტი, ხოლო 12%-ს ჰქონდა საშუალო განათლება.

ყურადღება გამახვილდა გამოკითხულთა იმ ნაწილზე, ვინც მკაფიოდ დაადასტურა, რომ ორსულობა იყო არასასურველი ან დაუგეგმავი. კვლევის პირველი კითხვა შეეხებოდა მენტალურ სტატუსს, დედების არც ისე დიდი ნაწილი მიმართავს ფსიქოლოგს სახსრების ან დროის დეფიციტის გამო. მხოლოდ 6%-მა განაცხადა, რომ მიმართა სპეციალისტს დახმარებისთვის. მათი 91% სუბიექტურად მიიჩნევს, რომ არასახარბიელო მენტალური სტატუსი აქვს.

დედების 46% ამბობს, რომ ორსულობის შენარჩუნება არ სურდა, თუმცა პარტნიორისა და ოჯახის სურვილით გადანაცვით ნაყოფის შენარჩუნება. ჩვენ ასევე ვკითხეთ ქალბატონებს ნანობდნენ თუ არა ამ საქციელს და თითოეულმა უარყოფითი პასუხი გაგვცა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 10%-სთვის იყო ორსულობა პირველი, უმეტეს შემთხვევაში იყო მე-2 ან მე-3 შვილი. ოჯახური მდგომარეობა - 85% არის დაქორწინებული, 12% დაუოჯახებელი, ხოლო დარჩენილი 3% განქორწინებული. 53% აღნიშნავს, რომ შემოსავალი აქვთ საშუალო, 19% - საშუალოზე დაბალი, ხოლო 28% - მაღალი მატერიალური სტატუსის მქონე. ასევე უნდა ითქვას, რომ გამოკითხულთა უმეტესობა სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს. დედების მცირე პროცენტი, დაახლოებით 18% აღნიშნავს, რომ თავს იცავდა, თუმცა მაინც დაორსულდა, ხოლო დანარჩენები კონტრაცეფტივების გამოყენებას არ აფიქსირებენ, რაც საკმაოდ საინტერესოა, ვინაიდან აღნიშნავენ, რომ დაორსულება არ სურდათ. მათი უმრავლესობა, 57% ამბობს, რომ მიუხედავად დაუგეგმავი ორსულობისა, პარტნიორი გვერდით დაუდგა და მათთან ერთად მიიღო მონაწილეობა ბავშვის აღზრდის საკითხებში.

დასკვნა. არასასურველ ან დაუგეგმავ ორსულობას შეიძლება მოჰყვეს დედებში ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც აისახება ბავშვთა შემდგომ მენტალურ სტატუსზე. ჩვილებში გამოკითხული დედები თავადვე ამჩნევდნენ კორელაციას მათ ხასიათსა და ჩვილის ჭირვეულობის ხარისხს შორის. ქალების ფერტილური ასაკი ემთხვევა კარიერული ზენიტის ასაკს, შესაბამისად მათ უნდა აიღონ რომელიც მიუძღვნან თავი. ხშირია, როცა ისინი ცდილობენ ორივეს დაბალანსებას, სწორედ ეს ფაქტი აუარესებს მათ მენტალურ სტატუსს.

საქართველოში და ალბათ მთელს მსოფლიოშიც ორსულებს სჭირდებათ რუტინული ვიზიტების დანიშვნა ფსიქოლოგთან. თუ ვინტერესდებით მათი ფიზიკური და სომატური ჯანმრთელობით, მხედველობაში უნდა მივიღოთ მათი მენტალური სტატუსი და წინასწარგანწყობაც, რადგან წინ არის ადამიანის აღზრდის პროცესი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია პოპულაციურ ჭრილში.

საქართველოში ჯანდაცვის სისტემაში დასაგეგმია გარკვეული ღონისძიებები, რათა ორსულობის ადრეულ ეტაპზე დადგინდეს მომავალი დედის მენტალური სტატუსი. ვინაიდან დადგინდა, რომ წინასწარგანწყობა ძალიან მოქმედებს ჩვილის განვითარებასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და ჯანსაღი ფსიქიკის მქონე მობარდის აღზრდაზე. მსგავს მიდგომას ცხადია სამომავლოდ კარგი გავლენა ექნება პოპულაციურ ჭრილში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gipson, J. D., Koenig, M. A., & Hindin, M. J. (2008). The effects of unintended pregnancy on infant, child, and parental health: A review of the literature. *Studies in Family Planning*, 39(1), 18–38. <https://doi.org/10.1111/j.1728-4465.2008.00148.x>
2. Lancaster, C. A., Gold, K. J., Flynn, H. A., Yoo, H., Marcus, S. M., & Davis, M. M. (2010). Risk factors for depressive symptoms during pregnancy: A systematic review. *American Journal of Obstetrics and Gynecology*, 202(1), 5–14. <https://doi.org/10.1016/j.ajog.2009.09.007>
3. David, H. P., Dytrych, Z., Matejcek, Z., & Schuller, V. (1988). Born unwanted: Observations from the Prague Study. *American Psychologist*, 43(9), 631–640. <https://doi.org/10.1037/0003-066X.43.9.631>
4. Field, T. (2010). Postpartum depression effects on early interactions, parenting, and safety practices: A review. *Infant Behavior and Development*, 33(1), 1–6. <https://doi.org/10.1016/j.infbeh.2009.10.005>

5. World Health Organization. (2022). *Improving early childhood development: WHO guideline*. <https://www.who.int/publications/i/item/9789240065166>
6. Knaak, S., Mantler, E., & Szeto, A. (2017). Mental illness-related stigma in healthcare: Barriers to access and care and evidence-based solutions. *Healthcare Management Forum*, 30(2), 111–116. <https://doi.org/10.1177/0840470416679413>
7. Georgian National Statistics Office. (2023). *Reproductive health and family planning indicators*. <https://www.geostat.ge>
8. David, H. P., Dytrych, Z., Matejcek, Z., & Schuller, V. (1988). Born unwanted: Observations from the Prague study. *American Psychologist*, 43(9), 631–640. <https://doi.org/10.1037/0003-066X.43.9.631>
9. Field, T. (2010). Postpartum depression effects on early interactions, parenting, and safety practices: A review. *Infant Behavior and Development*, 33(1), 1–6. <https://doi.org/10.1016/j.infbeh.2009.10.005>
10. Gipson, J. D., Koenig, M. A., & Hindin, M. J. (2008). The effects of unintended pregnancy on infant, child, and parental health: A review of the literature. *Studies in Family Planning*, 39(1), 18–38. <https://doi.org/10.1111/j.1728-4465.2008.00148.x>
11. Knaak, S., Mantler, E., & Szeto, A. (2017). Mental illness-related stigma in healthcare: Barriers to access and care and evidence-based solutions. *Healthcare Management Forum*, 30(2), 111–116. <https://doi.org/10.1177/0840470416679413>
12. Lancaster, C. A., Gold, K. J., Flynn, H. A., Yoo, H., Marcus, S. M., & Davis, M. M. (2010). Risk factors for depressive symptoms during pregnancy: A systematic review. *American Journal of Obstetrics and Gynecology*, 202(1), 5–14. <https://doi.org/10.1016/j.ajog.2009.09.007>
13. O'Hara, M. W., & McCabe, J. E. (2013). Postpartum depression: Current status and future directions. *Annual Review of Clinical Psychology*, 9, 379–407. <https://doi.org/10.1146/annurev-clinpsy-050212-185612>
14. World Health Organization. (2022). *Improving early childhood development: WHO guideline*. World Health Organization. <https://www.who.int/publications/i/item/9789240065166>
15. World Health Organization. (2022). *Mental health of women during pregnancy and postpartum*. <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/mental-health-of-women-during-pregnancy-and-postpartum>
16. Georgian National Statistics Office. (2023). *Reproductive health and family planning indicators*. <https://www.geostat.ge>

დევი ტაბიძე ¹, მარიამ შველიძე ¹, დეა ინორიძე ²

არასასურველი ორსულობის ზეგავლენა ჩვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარებაზე

¹თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკის და ეკონომიკის, დეპარტამენტი; ²თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი

რეზიუმე

არასასურველი ან დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევაში ქალების (18-40წწ) უმრავლესობას უყალიბდება მენტალური პრობლემები, რაც უმრავლეს შემთხვევებში იწვევს 0-3 წლამდე ბავშვებში გარკვეული სახის მენტალურ, ქცევით და კოგნიტური პრობლემების ჩამოყალიბებას. კვლევებით დასტურდება, რომ საკითხი საკმარისად აქტუალურია საქართველოში და საჭიროებს პროფესიონალურ ყურადღებას. გარკვეული ჯანდაცვითი თუ სოციალური მიზანმიმართული ღონისძიებების გატარების მეშვეობით შესაძლებელია უარყოფითი პროცესების შეფერხება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანსაღი პოპულაციის ჩამოყალიბების მიმართულებით, არასასურველი ორსულობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქო-სოციალური დეტერმინანტი, აგრეთვე წარმოადგენს მძიმე სტრესორს, რომელიც უარყოფითად აისახება როგორც დედის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ასევე ჩვილის ფსიქიკური განვითარების პროცესზე. კვლევის მიზანია დაადგინოს თუ რამდენად დიდი როლი აქვს დედის წინასწარგანწყობას ორსულობაზე და შემდგომ მის კეთილდღეობაზე. აგრეთვე, დედის ფსიქიკაზე მატერიალური მდგომარეობის ზეგავლენა ოჯახის საშუალოზე დაბალი შემოსავალის შემთხვევაში,

მაშინ, როდესაც საჭიროა საკმაოდ დიდი ფინანსების მობილიზება. პრობლემა განხილვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჭრილში და მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით.

